



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

030433399885313

KA030433399885313

№ 04-217/თ

26 / აპრილი / 2013 წ.

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N74 დადგენილებით დამტკიცებული „დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N74 დადგენილებით დამტკიცებული “დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის “ (დანართი 1.8) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. “სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N74 დადგენილებით დამტკიცებული “დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ (დანართი N1.8) მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს:

მიმწოდებლის მიერ, საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა (დანართი– „ინფორმაცია ბენეფიციართათვის გაწეული მომსახურების შესახებ“).

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ფორმა მიმწოდებლის მიერ წარდგენილი უნდა იყოს სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში, შესაბამის წერილობით მიმართვასთან ერთად, მომსახურების გაწევის შემდეგი თვის 10 რიცხვამდე; აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს სააგენტოს ცენტრალურ აპარატში შესაბამისი მომწოდებლისთვის მიმდინარე თვეში ვაუჭერით დაფინანსებული მომსახურების ჯამურად გადასარიცხი თანხის გამოთვლის საფუძველს.

3. სააგენტოს ტერიტორიული ერთეული ვალდებულია, უზრუნველყოს:

ა) დანართში წარმოდგენილი ინფორმაციის გადაგზავნა სააგენტოს ცენტრალურ აპარატში (2 სამუშაო დღის ვადაში),

ელექტრონული ფორმით, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (დეს) საშუალებით;

ბ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის პირველი პირების დაცულობა, არანაკლებ სახელმწიფო პროგრამის მოქმედების პერიოდის შემდგომი ხუთი წლის განმავლობაში.

4. სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველომ (ვ. გაზდელიანი) უზრუნველყოს:

ა) მომსახურების მომწოდებელ პირთა ინფორმირება და საჭირო განმარტებების მიწოდება ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ფორმის და ინფორმაციის მოწოდების პირობების თაობაზე;

ბ) სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულებისათვის საჭირო ინფორმაციისა და განმარტებების მიწოდება ამ ბრძანებასა და “დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე.

5. სააგენტოს ადმინისტრაციამ (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და ამავე ბრძანებით დამტკიცებული ფორმის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: ssa.gov.ge.


6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სააგენტოს დირექტორის მოადგილეს (მ. მაჭავარიანი).

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 7 დეკემბრის N04-625/ო ბრძანება (შესაბამისი დანართით).

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო,
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე



სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამა

დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა

ინფორმაცია ბენეფიციართათვის გაწეული მომსახურების შესახებ

მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის დასახელება _____

დედათა და ბავშვთა თავშესაფრის მისამართი _____

საანგარიშო პერიოდი _ _ _ _ _ -დან _ _ _ _ _ -მდე

ინფორმაციის წარმოდგენის თარიღი _ _ _ _ _ (რიცხვი, თვე, წელი)

N	გვარი	სახელი	პირადი N / დაბადების მოწმობის N*	დაბადების ს თარიღი	მისამართი (იურიდიული) საკონტაქტო ტელეფონი	გადაწყვეტილ ების მიმღები რეგიონული საბჭო	დაწესებულე ბაში მოთავსების თარიღი	დაწესებულე ბიდან ამორიცხვის თარიღი**	მომსახურების მიღების თვეში, დაწესებულებაში გატარებული დღეების რ-ბა
1									
2									
3									
4									

ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი და ხელმოწერა

ბ.ა.

თარიღი

* - ბავშვის შემთხვევაში იწერება დაბადების მოწმობის ნომერიც;

** - დაწესებულებიდან ამორიცხვის თარიღში მითითებული უნდა იყოს საბჭოს ოქმით ამორიცხვის თარიღი